



# საჯარო სამართლის იურიდიული პირი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**Legal Entity Public Law**  
**SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY**  
**სამთხუანო დაწესებულებების საკავშირი** **REPRESENTATIVE COUNCIL**



ଓজৰো নং ৭

” 6 ” 06 2019

დადგენილება № 18

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დებულებაში  
ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „3“ ქვეპუნქტის თანახმად:

### წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 ივნისის N23 დადგენილებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დებულებაში“ და დებულების მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:
  - „4. კრიმინალისტიკის ლაბორატორია არის ფაკულტეტის სასწავლო სტრუქტურული ერთეული.“
  2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
  3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ჩაბარდეს იურიდიულ ფაკულტეტს.
  4. საფუძველი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის 2019 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება N6.
  5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან 1 თვეს ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ.ახალციხე კ.მებაღიშვილის ქ.N62.

## წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფესორი

Mr. Today

ლავრენტი ჩიბურდანიძე